№ 146. ივლისის 7, შაბათი. 1866—1884 ივლისის 7, შაბათი. № 146.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა-კაპ.—განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზე“

ნახევარის წლით

ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი.

არწრუნის თეატრი.

 კვირას ივლისის 8-ს

ქართული დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება.

ბ. ალექსეევ-მესხიევის დახმარებით

საზოგადო

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. საფაროვისა და ანდრონიკოვისა, ბბ. აბაშიძე, კეზელი, მოხევე და სხვანი. ტანისამოსები ახალი იქნება.

დასაწყისი 8½ საათ.

გამოდგა

ცალკე წიგნად

საგანგებო სიმკვარული

მოთხრობა

პეპკი წერეთლისა

(„დროების“ რედაქციის გამოცემა.)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ოც ეგზემპლარზედ მეტს იყიდის ეწობასაშედ, 10% დაეთმობა.)

წიგნი იყიდება თბილისში ბრიქეტოვის წიგნის მაღაზიაში, ზაგვდელოვის საგენტოში და ბაბაევის მაღაზიაში. ქუთაისში ჯალაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათიძესთან, თელავში, საზოგადოების დეპოში. ერთობამდე ყიდვა შეიძლება ავტორთან «დროების» რედაქციაში.

(10—7)

სოფლების ერთი უმთავრესი საჭიროებათაგანი.

თბილისი, ივლისის 7-ს.

ბარდა იმ მიზეზისა, რომელსაც ცნობის-მოყვარეობას ეძახიან, ბევრი სხვა მიზეზებიც ამტკიცებენ სოფლებ შორის წესიერად მიწერ-მოწერის გამართვის აუცილებლობას. ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ისე ეწყობა, რომ კაცმა უეჭველად უნდა იცოდეს, ან როგორი მოსავალია რომელსამე მხარეში, ან როგორა სწარმოობს მრეწველობა და აღებ-მიცემობა. სოფლიდამ ქალაქში წამოსულ კაცს, რომელსაც თან თავისი წლის ნაამაგარი მოაქვს გასასყიდად, რომ შინ მთელი წლისათვის საჭირო საქონელი წაიღოს, უნდა შეტყობილი ჰქონდეს აღნიშნულ დროს, როგორ იყიდება მისი ნაწარმოები, ან ხელს მისცემს, თუ არა, რომ ცოტა უფრო შეაგვიანოს თავისი ქალაქისკენ გამგზავრება. ყოველი საქმის თავ-თავის დროზედ დაჭერას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის და ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამ საზოგადოების წევრნი უმეტესად განვითარებულნი იქმნებიან და გონების თვალის ჰორიზონტი უფრო გაუფართოვდებათ.

ერთის სიტყვით, რა მხრითაც უნდა შევხედოთ სოფლებში ფოსტების დამართვას, ეს საქმე მეტის-მეტად დიდმნიშვნელობიანია და დიდი სარგებლობის მოტანაც შეუძლიან, როგორც ერის გონებრივს წარმატებაში, ისე მისის კეთილ-დღეობისა და ეკონომიურის მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მაგრამ საკითხავი ეს არის, შეიძლება თუ არა ამ საქმის მომართვა და თუ შეიძლება, როგორ უფრო მარჯვედ უნდა მოხერხდეს.

მკითხველს დავიწყებული არ ექნება, რომ ერთის პირის თაოსნობით თელავის მაზრაში განზრახვა აქვთ იმ გვარი საზოგადოების დაფუძნებისა, რომელსაც ეს საქმე ექმნება ნაკისრები. პროექტი „საზოგადოებისა“ კიდეც წარუდგენიათ გუბერნატორის წინაშე და მალე მოელიან დამტკიცებას. საყურადღებო აქ ის არის, თუ როგორ აპირობს „საზოგადოება“ ამ საქმის ორგანიზაციას.

თელავის მაზრას ამ მხრივ მართლა რომ მეტად მარჯვე მდებიარობა აქვს. თითონ თელავი მაზრის შუაგულში სძევს, მარჯვნივ ალაზნისა და ზემოდამ დასცქერის მთელ თავის მაზრას, ალაზნის მშვენიერს ველს. თელავიდამ მაზრის დასასრულამდე ორთავ მხარეს ოც-და-ხუთი—ოც-და ათი ვერსი მეტი არ იქნება, როგორც ალაზნის გამოლმა, ისე გალმა. მაშასადამე, თელავიდამ წასულ კაცს შეუძლიან ერთ დღეს მაზრის ბოლომდე მივიდეს და მეორე დღეს თელავშივე დაბრუნდეს. მაგრამ ამისთანა კაცი ოთხი იქნება საჭირო. ორი ალაზნის გამოლმა მარჯვნივ და მარცხნივ წასასვლელად და ორიც გალმა იმავე მხარეს წასასვლელადვე. მაშასადამე, თუ ზემოხსენებულ საზოგადოებას ოთხი ცხენიანი კაცი ეყოლება, შეუძლიან კვირაში ორჯელ მთელი მაზრა მოატაროს, ორჯერ დაარიგოს თელავში მოსული წერილები და ჟურნალ-გაზეთები და ორჯერვე მიიღოს. ამ ოთხი კაცის დაჭერა და ერთი კაცის ყოლა თელავში, რომელსაც მინდობილი ექნება კორესპონდენციების მიღება «საზოგადოებას» ას თუმანზე მეტი არ დაუჯდება წელიწადში და ასი თუმანი იმოდენი ფული არ არის, რომ იმისთვის მთელმა მაზრამ დაიშალოს ამ გვარი სასარგებლო დაწესებულების შექმნა. «საზოგადოების» დამფუძნებელთ აზრადა აქვთ შეავსონ ეს ფული იმ პირთაგან შემოტანილი ხვედრით, რომელნიც წევრებად გახდებიან და ისურვებენ წერილების გაგზავნისა და მიღების უფლების შეძენას. შეიძლება, ამ საქმეში სოფლის გამგეობათაც მიიღონ მონაწილეობა და თავიანთ კანცელიარიაში გამართონ ყუთი ყოველგვარ წერილებისათვის. მაგრამ ეს წერილმანი საქმეა და, თუ სურვილი იქნება, ადვილია მისი წესზე მოწყობა. საქმე მხოლოდ ის არის, რომ თითონ აზრი მიღებულ იქმნას მთელი საზოგადოებისაგან და არავინა სთქვას უარი მცირე წვლილის შეტანაზედ, ოღონდ მოიპოვოს საშუალება დაუბრკოლებლივ მიწერ-მოწერისათვის ნაცნობებსა და ნათესავებთან.

ყოველი მაზრა ისე მომარჯვებული არ არის ამ საქმისათვის, როგორც თელავისაა, რადგან ასე ჩამწკრივებულ სოფლებს ძვირად შეხვდებით, მაგრამ მცირედის განსხვავებით კი ყველგან ასეა, რადგან ქართველი ხალხი უფრო მდინარეების გასწვრივ ესახლებოდა და დღესაც უფრო ხეობებად არის დაყოფილი ჩვენი მხარე. კერძო პირთაგან და საზოგადოებათაგან ამის თანა საქმის დაწყება დიაღ მოსაწონია, მაგრამ ჩვენ გვეშინიან, რომ საზოგადოების გულ-გრილობამ ხელი არ შეუშალოს და პირველი ნაბიჯის გადადგმაზედვე ფეხი არ წამოსდოს. ამისთანა საქმეს სხვაგან ყოველთვის ერობანი აკეთებენ, მაგრამ ჩვენში, რაკი ერობა არ არსებობს, ამის მოვალეობა სამაზრო ადმინისტრაციას აწევს. რასაკვირველია, ეს ისეთი ხარჯი იქნება, რომელიც განსაკუთრებით განვითარებულ ნაწილს საზოგადოებისას უნდა დაედოს და არა უმეცარ გლეხს, რომელიც ჯერ-ჯერობით წერილების გაგზავნას და გაზეთების კითხვას არ ეწყობა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც წერა იცის და არც კითხვა. ამასთან ეს ისეთი მცირე ხარჯია, რომ თითქმის არავითარს ტვირთს არ შეადგენს საზოგადოებისათვის და სარგებლობის მოტანა კი ერთი-ათად მეტი შეუძლიან თავის ღირებულობის კვალობაზედ.

შინაური ქრონიკა.

═ წარსულს ოთხშაბათს, ივლისის 5-ს, შესდგა საგანგებო წლიური კრება დრამატიული საზოგადოებისა, რომელზედაც მმართველობის წევრებად იქმნენ ამორჩეულნი: თ. გ. შარვაშიძე, კნ. ბ. ბარათოვისა, თ. ა. ორბელიანი, თ. აკაკი წერეთელი, თ. რაფ. ერისთავი, ბატ. ვაწაძე და ბატ. ილიავა; კანდიდატებად: ი. მეუნარგია, ბ. წერეთელი და ვ. თუმანიშვილი.

მოხსენებულნი პირნი, იმედია, სათეატრო საქმეებს ნამდვილს დახმარებას აღმოუჩენენ და გულ-მოდგინედ მოჰკიდებენ ხელს იმ საკეთილო საქმეს, რომელიც საერთო ყრილობამ მათ მიანდო.

═ ბუშინ, პარასკევს, მოხდა ხელმეორედ ვაჭრობა თბილისის საადგილ მამულო ბანკში დაგირავებულ მამულებზე სარგებლის შემოუტანლობისათვის. დანიშნული იყო ვაჭრობა 21 მამულზედ, მაგრამ სარგებლის შემოტანის გამო, ვაჭრობა მოხდა მხოლოდ 14-ზედ. მათში გაიყიდა ოთხი მამული: ორი სოფლისა და ორი ქალაქისა. ათი მამული—ცხრა ქალაქისა და ერთი სოფლისა ჯერ-ჯერობით ბანკს დარჩა. დარჩენილ მამულებ შორის არის არწრუნის ქარვასლა ბაღით და სახლებით სასახლის ქუჩიდამ ფრეილინის ქუჩამდე. სივრცე ამ ადგილისა არის 2725 ოთხ-კუთხი საჟენი. ბანკს თურმე განზრახვა აქვს ეს მამული საუკუნოდ თავის საკუთრებად დაიმტკიცოს.

═ ბათუმიდგან გვწერენ: «ბათუმის ქალაქის სასწავლებელში გაიხსნა მასწავლებელი ქალის ადგილი უმცროს განყოფილებაში. სასწავლებლის კომიტეტს ორმა ქალმა მიართვა თხოვნა ამ თანამდებობაზე. ერთი მათგანი რუსია, რომელმაც არ იცის ქართული, მეორე ქართველია. კომიტეტის თავ-მჯდომარე კნ. ე—სამ ამ ორ ქალში უპირატესობა ქართველს მისცა, რადგანაც ეს ქალი უფრო მომზადებულია მასწავლებლის ასპარეზისთვის, ვიდრე მეორე. აგერ ერთი წელიწადია, რაც ეს ქალი პრაქტიკულად ვარჯიშობს ბავშვების აღზრდაში, აძლევს გაკვეთილებს, როგორც კერძო სახლებში, ისე სასწავლებელშიც. ამას გარდა თავ-მჯდომარემ მოაგონა კომიტეტს ის პედაგოგიური პრინციპიც,

რომელიც ითხოვს, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა ბავშვს სამშობლოენაზე უნდა გარდაეცესო და რადგანაც უმცროს განყოფილებაში ყოველთვის ქართველი ბავშვები სჭარბობენ, ამიტომ ამ განყოფილებაში მასწავლებელმა უთუოდ ქართული უნდა იცოდესო.

ამ აზრს თითქმის მთელი კომიტეტი წინააღმდეგი გაუხდა....

= როგორც მთიდგან გვატყობინებენ, სახემწიფო გზები, რომელნიც სხვა-და-სხვა მემამულეთა ადგილებზედ იქმნენ გაყვანილნი, კომისიას დაუფასებია უკვე. სწორედ უნდა ესთქვათ, რომ დროც იყო ამ საქმის გათავებისა, რადგან მასზედ დავა 1863 წლიდგან სწარმოობს.

სამწუხაროდ, ამბობენ, რომ გლეხკაცის მამულებზედ ფული არ გამოვაო, რადგანაც გლეხის საკუთრება სახემწიფო საკუთრებად ითვლებაო.

სასიამოვნო იქნებოდა, რომ მთის გლეხ-კაცების მდგომარეობა მხედველობაში მიეღოთ და იმათთუისაც მიეცათ სასყიდელი, რადგანაც გზების გაყვანამ, ისეც ძალიან ცოტა მიწის მქონე გლეხ-კაცობა სრულიად გააღატაკა.

= სოფლებიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ იქ დადიან თურმე სხვა-დასხვა ჯურის ჩარჩები და ავრცელებენ ხალხში ხმას, ვითომ ქალაქში ხოლერა იყოს გაჩენილი. გაიძვერა მოჭახრაკენი იმ განზრახვით ავრცელებენ თურმე ამ გვარ ხმებს, რომ ხალხი აღარ ჩამოვიდეს ქალაქში თავის ნაღვაწ-ნადაგევის ჩამოსატანად, აქ პირიანად გასაყიდად და ყველაფერი მიჰყიდოს ადგილობრივვე მათ ერთი ორად და სამად ნაკლების ფასით.

= ერთს თბილისის სახემწიფო დაწესებულებაში ხელი მოუწერიათ სხვის მაგივრად ათის თუმნის მიღებაზე, მაგრამ დამნაშავე მაშინვე აღმოუჩენიათ და გამოძიებაა ამ საგნის თაობაზე უკვე დანიშნულიო.

«დროების» კორესპონდენციები.

—

სოფ. ახალქალაქი, ივნისის 30. ავდარი, ქარი და შემოდგომის სიცივები აღარ გვასვენებენ. ჩალბა მინდორში ყანა, დაილეწა ვენახებში ხეხილი, ამოვარდა ბოსტნეული, ამინდი აღარც ხენას გვაცდის, აღარც ვენახში მუშაობას. რაც რთვილს გადარჩა, იმას სეტყვამ წამოურბინა და შემდგომ ნიაღვრებმა და ქარმა. და აი, ლამის ყველას ბოლო მოუღოს. ბოსტნეულობა მესამედ დაითესა და რა გამოვა აქედან—ვინ იცის. მართალი მითხრა ერთმა ჩემმა მეგობარმა, კაი ხანია, წელიწადს არ გაუელია ისე, რომ რამე უბედურობა არ გასჩენოდა საიდანმე საწყალ ჩვენს ქვეყანას... მართალიც არის, ასე გასინჯეთ, სიკვდილმაც ჩვენზედ გაიმარჯვა. უბედურნი შემთხვევანი, ეპიდემიური ყვავილი და რაღაც მუცლის ავადმყოფობა (დეზინტერია თუა) გვიფრთხობენ ძილს. იქ დაიხრჩო მეტივე, იქ საუკეთესო მუშა ჩავარდა საკირეში და დაიწვა (ორივე ხანდაკელები იყვნენ), აქ გადაიცვალა თერთმეტი წლის შარშან ძალად გათხოვილი ქალი, რომელიც გათხოვების უმალვე დაწვა ლოგინად. იქ ყვავილმა ერთ სახლში გადიტანა შვიდი კაცი (სოფ. ნოსტეში)...

აქაურმა მებატონეებმა სოფ. ახალციხეში, სადაც ორმოცამდინ ვალდებული გლეხ-კაცები ჰყავთ, ამ ექვსი წლის წინად დაჰყვეს მამულები გამიჯვნით და რადგანაც მაშინვე გლეხ-კაცებმა გამოაცხადეს თანხმობა მიიღონ ახალი ნადელები ერთ მხარეს აქა-იქ ძველ მიმოფანტულ ნადელების მაგივრად, ამიტომ გაყოფაში ძველი ნადელები აირ-დაირია და ზოგი ვის ერგო, ზოგი ვისა: ზოგი ნადელი მოჰყვა იმის მამულში, ვისაც არა ჰყოლია ამ სოფელში გლეხ-კაცი. ზოგი კი ისე დაიგლიჯა, რომ ხუთ მებატონეს ერგო. გლეხ-კაცებმა აიღეს ახალი ნადელები და ხუთი წელიწადი უდავოდ ხმარობდენ, თუმცა მომრიგებელს შუამავალს ჯერ არც კი დაემტკიცებინა. შარშან ვიღაცამ აურია იქაური გლეხკაცები: თოთხმეტი კომლი დაერია ძველ ნადელებს, გაიმართა დავა, ჩხუბი და თავის მტვრევა. ამ ჩხუბში და აყალ-მაყალში თოთხმეტი კომლის გარდა ყველამ დაიმტკიცა ახალი ნადელები, მაგრამ გლეხ-კაცებს კი ერთმანეთში ჩხუბი და თავის მტვრევა ჯერაც არ გაუთავებიათ. ვინ არის მართალი, მკითხველო: მომრიგებელი შუამავალი, გუბერნსკი პრისუტსტვიე, გლეხ-კაცი, თუ მებატონეები? პირველის ფარხმალი და საბუთი გახლავთ შემდეგი: ჯერ პირველი, ალაგობრივი გასინჯვით დარწმუნდა, რომ ახალი ნადელები ძველ ნადელებზედ, თუ უკეთესი არა, უარესი არ არის და აღარც ისე დაგლეჯილია, მეორე, ხუთი წელიწადი უდავოდ სჭერიათ და ეხლაც მეტი ნაწილი ახალ ნადელებს ჩემულობს, მესამე, ძველი ნადელების მიცემა ყოვლად შეუძლებელია გაყოფის გამოვო. მეორემ (გუბერნიის პრისუტსტვიემ) გადაწყვიტა, რადგანაც გლეხ-კაცებს გაყოფის დროს თავიანთ თანხმობა ამ საგნის თაობაზე არ გამოუთქვამთ ქაღალდზე და ქაღალდით არ დაუმტკიცებიათ, ამიტომ დაიჭირონ ისევ ძველი ნადელები, მესამე (თოთხმეტი კომლი გლეხობა) დაობს, როგორც მე მოვკარ ყური, იმიტომ, რომ ვილასაც ჩაუგონებია, ვითომ ძველ ნადელებს სხვა ძალა აქვსო და შესასყიდს ფულს სახემწიფო მხოლოდ ძველი ნადელების შესაძენად აძლევსო. მეოთხემ საქმე გადიტანა სენატში შემდეგი საბუთებით: გამიჯვნის დარღვევა აღარ იქნება, ნადელები გადვიდ-გადმოვიდა და დაიფლითა; ზოგს არა ჰყავს გლეხ-კაცები და ძველი ნადელები იმის მამულში მოჰყვა; ზოგი გლეხ-კაცი ხუთის მებატონის ვალდებული ხდება, ზოგი ნადელის გამორკვევა ყოვლად შეუძლებელია, ზოგმა, როგორც საკუთრება, გაყიდა კიდეც და ბანკშიაც დააგირავა და სხვა-და-სხვა. ვინ არის, მკითხველო, ზარალში და როდის გათავდება ეს არა სასიამოვნო გიმნასტიკური ვარჯიშობა.

არ შემიძლიან ეს წერილიისე გავათავო, რომ არ უძღვნა მადლობა ერთს ჩვენთაგანს თ. მ. თ., რომელმაც ყოველი კეთილი საქმის მოთავობა დაამტკიცა მითი, რომ მარტოდ-მარტო გაგვიმართა ამ ნიაღვრებში ორი ხიდი იქ, სადაც თავის დღეში ხიდები არა ყოფილა, გაგვინათა ქუჩები, თუმცა ვის გაუგონია და სად მომხდარა სოფელში ფანრები ქუჩებზედ. როგორც ეტყობა, ჩვენი სოფელი თაკილობს სოფლობას. ხუთმა კომლმა დაიდგა თ. მ. თ—ს თაოსნობით ფანრები, გაანათა ქუჩაც და თავის კარმიდამოც.

დ. თ.

რაჭა, მაისის 31-ს. მართლ-მადიდებელნი არიან, თუ მაჭმადიანნი?—აღამამად-ხანისა და მურვან-ყრუს დრო.—არყის გამოხდის უფლების დაბრუნების ამბავი.—სიხარული ხალხისა ამის გამო.—მღვდელთ სასარგებლოდ გადასახადი დრამა მამასახლისების ლუკმად გადაქცეულა.—საერთო გოდება ფულის სიძვირეზე.

ამ უკანასკნელს დროს თან-და-თან გახშირდა ჩვენში ერთი ფრიად სამწუხაროა და კაცის ღრმად დამაფიქრებელი ბოროტ-მოქმედება. მე მოგახსენებთ ავაზაკობაზე, მაგრამ იმ ავაზაკობაზედ კი არა, რომელიც მიმართულია კაცის პიროვნების უფნებლობის წინააღმდეგ, ან მის საკუთრებასა და დოვლათის უკანონოდ შესაძენად. არა, მე ვამბობ იმ ავაზაკობაზედ, რომელიც მიმართულია წმიდა-წმიდათა გასაცარცვავად, იმის წინააღმდეგ, რაც ხალხს და ერს მეტად ულირდა, ულირს და უნდა ულირდეს მომავალში. ავაზაკთა გუნდნი წარმოუდგენელის კადნიერობით, უშიშრად და უსვინიდისოდ თავიანთ მტარვალს მარჯვენას ეკლესიისა და ტაძრების გასაქურდლად ხმარობენ.

ძარგა ხანია მას აქეთ, რაც ბოროტმა სულმა პირველად გაბედა და გაცარცვა ჩვენი უმთავრესი დედა-ეკლესიები. დღეს ამ მაგალითს მიჰყვენენ სხვანი და აი მთელი გროვა ამ გვარ ფაქტებისა ხმა-მაღლად ჰღაღადებს, რომ სასტიკი ზომა უნდა იქმნას ხმარებული ამ უსჯულო და უღმერთო ბოროტ-მოქმედობის მოსასპობლად. მე მოვიყვან იმ ფაქტებს, რომელნიც მე გამიგონია და მსმენია ამ მხარეში: ამას წინედ ზემო-სვანეთში ოთხს ალაგს გასტეხეს ეკლესიები, უშკულისა და ლატალის საზოგადოებისა და წაიღეს ყოველივე, რაც რამ განძეულობა მოხვდათ ხელში. სულ ცოტა ხანია მას აქეთ, რაც სოფ. ბეგეულში (რაჭის მაზრა) განსაცვიფრებელის მოხერხებით, წინადვე მოსაზრებულის პლანით, გასტეხეს ეკლესიის კარები—და გაიტანეს სხვათა [illegible] ოქროს თვლებით და ძველის ჩინებულის ხელოვნებით შემკული ბარძიმ-ფეშხუმი; გაცარცვეს აგრეთვე ხონის წმ. გიორგის ეკლესია და გაიტანეს დიდ-ძალი განძი და საფასე. აპრილის 11, ღამით, გასტეხეს კიდევ სოფ. ლაბეჭინას (ლეჩხუმის მაზრაა) ეკლესია და მოიპარეს, ფულის გარდა, ბარძიმ-ფეშხუმი და ერთი ძვირფასი ჯვარი. ამბობენ, რომ ამ ეკლესიაში ბევრი ძვირფასი ნივთი ყოფილა, მაგრამ ყველა ხელში ვერ ჩაუგდიათ ავაზაკებსაო.

საკმარისია, ვგონებთ, ეს ფაქტები, რომ კაცი დაფიქრდეს და იკითხოს, რა ზნეობისა და სარწმუნოებისანი უნდა იყვნენ ისინი, ვისიც მტარვალი ხელი ეკლესიასაც კი არ ინდობს. საკმარისია, ვგონებთ, ეს ფაქტები, რომ კაცს თვალ-წინ წარმოუდგეს გაჭირებული დრო ეკლესიისა და სარწმუნოებისა აღა-მამად-ხანისა და მურვან-ყრუს ონავარობის დროს საქართველოში, მაგრამ მაშინდელმა გაჭირებულმა დრომ ვერ შეარყია სიმტკიცე სარწმუნოებისა და ეკლესიისა, ამათ მაშინ მტერი შინაურობაშივე არა ჰყავდა და ახლა, ვინ იცის, იქნებ, ჩვენი ეკლესია დიდს საშიშროებაში ჩავარდეს და ჩვენს სარწმუნოებას დიდი განსაცდელი მოელოდეს. რაც აიტანა ეკლესიამ ათასის წლის განმავლობაში, მას ველარ აიტანს ეხლა, როცა შინაურ მტერს ისეთივე სიმკაცრით და მედგრობით არ ებრძვიან, როგორც წინად ებრძოდენ.

ჩვენის აზრით, ძრიელ და ძრიელ საჭიროა, რომ სასულიერო და საერო მთავრობამ უფრო სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, თვით საზოგადოება მკაცრად უნდა მოექცეს ავაზაკებს და ურიგო არ იქნება, რომ, სხვათა საშუალებათა შორის, ერთი ღონეც იქმნას ხმარებული, თუ არ გვინდა, რომ ძველთა ნაშთთაგან ცარიელი კედლების მეტი აღარა დაგვრჩეს რა. აუცილებლად საჭიროა იმ ეკლესიებიდგან, რომლებშიაც წირვა-ლოცვა არ არის და მუდმივი ყარაული არა ჰყავს, გადმოტანილ იქმნენ ყოველივე ძვირფასნი ნივთნი და სამკაულნი, იქ, სადაც მუდამ წირვა-ლოცვა დგას და რომელთაც მუდამ ყარაული აყენია.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ აუცილებელ საჭიროებად სცნა დაჰბრუნებოდა ჩვენს ხალხს არაყის უბაჟოდ გამოხდის უფლება, დაიწყო ზრუნვა ამ საგანზედ და შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, ჩვენი ხალხი და მთელი საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა ამ საქმის დაბოლოვებას. ჩვენის ხალხისა და მიწათმფლობელთა სასიამოვნოდ, „საზოგადოების“ შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და უმაღლესმა მთავრობამ მიანიჭა ხალხს უფლება უბაჟოდ არაყის გამოხდისათვის შინაურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ვინც კი დაჰკვირვებია ჩვენის ხალხის მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობას, რომელიც იძულებული იყო თავისი ჭაჭა-თხლე ან ყოველის უსარგებლოდ გადაეყარა ხოლმე. ან თითქმის უფასოდ ეძლია მედუქნეებისა და ჩარჩებისათვის, ის ადვილად მიხვდება, რა სასარგებლო იქნება მთავრობის ახალი განკარგულება ხალხის ეკონომიურ კეთილ-დღეობისათვის. ხალხი და საზოგადოება, სახლში არაყს მოკლებული, იძულებული იყო მუდამ დუქნისაკენ სჭეროდა თვალი, გაბმულიყო გაიძვერა მედუქნეების ქსელში და ერთი ათად ეძლია ფული ნახევრად წყალ-გარეულ არაყში. ამას გარდა, მუდამ დუქანში სიარული ხალხს დროსაც ბევრს აკარგვინებდა და მის ზნეობასაც ჭრყვნიდა. ყოველივე ამის შემდეგ, ადვილი მისახვედრია, რად მიეგება ხალხი ისეთის სიხარულით და აღტაცებით იმ გვარს მთავრობის განკარგულებას, როგორიც არაყის ბაჟის მოსპობა არის.

(დასასრული ხვალ)

ოსეთი (გორის მაზრა), ივნისის 23-ს. ძრიელ შეგვაწუხა წრეულ სეტყვამა! აგერ რავდენი წელიწადია, ჩვენს უჩინო კუნჭულს არ სწვევია ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, მაგრამ წრეულ რაღაც ვაჩილლა გაგვიწყრა! იმიტომ წრევანდელი ჭირნახულიც არა ჰგავს შარშანდელს, სულ ერთიანად რაღაც ნაირად გაუყვითლდათ ძირი, ასე გეგონებათ, აქ წვიმა ჯერ არა ყოფილაო და მზისგან არიან დახრაკულნიო... მაგრამ სეტყვამაც ისე არ ჩაიარა და მოგვიგლინა (მადლი შენს სახელს, დიდებულო ვაჩილავ!) რამდენიმე უბედური შემთხვევანი; ჩხანში ერთ მეცხვარეს დაეცა მეხი და, რასაკვირველია, თითონ მწყემსიც მოჰკლა და ასზე მეტი სული ცხვარიც... მეორედ კიდევ დაეცა მეხი ერთ ქერელ კაცს, რომელიც ბარით გამოსულა საბძელთან, ორმოებში წყალი არ ჩავიდესო, და ისიც მოჰკლა... სოფ. სკენეში ერთი პატარა ყმა-წვილი ნიალვარს დაუხვრჩვია... ჯერ ესეც კმარა!... ამას წინედ სწერდენ, ტყეების გაჩეხას სეტყვის გახშირებაც მოჰყვება ხოლმე თანაო. აი, მეც ამ შემთხვევას ვაწერ ვაჩილის რისხვას! ისეთი ტყეები გექონდა თურმე (მე არ მოვსწრებივარ, მაგრამ ცხონებულ პაპა-ჩემ თავყანისაგან გამიგონია), რომ ნადირით სავსე ყოფილა, მაგრამ ეხლა ისე გაკაფეს, რომ ნადირს ვინღა ჩივის, მალე შეშაც აღარ გვექნება! ახოებს იღებენ და იმიტომ...

ორიოდე სიტყვა ჩვენს სკოლებზე! მოგეხსენებათ, რომ «კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ», რომლის ხარჯზედაც დღემდე იყვნენ ჩვენი სკოლები, რადგანაც ფული შემოაკლდა, სრულის ხარჯის მიცემა აღარ იკისრა.... ან კი რა არის, ღმერთმანი! სხვის ხელში შემაცქერალნი როდემდის უნდა ვიყვნეთ? სულ ხომ სხვის „ნანათი“ არ გამოკვებავთ ჩვენს თავს?! ცოტა მაღლა ავიწიოთ და ხარნაგას და ირადის ფულებიდამ ცოტაოდენი სკოლების გასახსნელადაც გადავდოთ, არა გვიშავს-რა!... მაგრამ აქ წინამძღოლობა გვეჭირვება და ვისი რიგია წინამძღოლობა გაგვიწიოს, თვით მკითხველიც კარგად მიხვდება!...

გიორგი ლიახველი.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

«დროების» 134-№-ში დაბეჭდილი იყო უცნობის ავტორის ფელეტონი, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ვითომ მე ამ ჟამად მოვსპე ჟურნალების გამოწერა ჩემ მიერ დაარსებულ ქ. ქუთაისში ბიბლიოთეკისათვის ხელის მომწერლების სიმცირის გამო. ჭეშმარიტების აღსადგენად უმორჩილესად გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, გამოაცხადოთ, რომ ეს მართალი არ არის. გამოწერილ ჟურნალ-გაზეთების რიცხვი იმდენივეა ეხლა, რამდენიც წლის დამდეგს იყო (გამოწერილ დრო-გამოშვებით გამოცემათა რიცხვი სულ 50). როგორც წინად, ისე ეხლაც ბიბლიოთეკას თანდა-თან ემატება არა მარტო რუსული წიგნები, არამედ საუკეთესო ლიტერატურული თხზულებანი ფრანცუზულს ენაზედაც. თუმცა აქაური განათლებული საზოგადოება გულ-გრილად ეკიდება ჩემს ბიბლიოთეკას, მაგრამ მე მაინც არა ვფიქრობ მის დაკეტვას, რადგანაც, როცა კარგად მოწყობილს ბიბლიოთეკას ვაარსებდი ქ. ქუთაისში, აზრად ფულის მოგება კი არა მქონდა, არამედ მსურდა შეძლებისამებრ მემსახურნა ქართველთ საზოგადოებისათვის.

დავშთები და სხვ.

ი. ბ. პეტროკი.

რედაქცია თავის მხრით საჭიროდ სთვლის დაუმატოს ამას, რომ „უცნობ ფელეტონისტს“ სრულიად ის არ ჰქონია სახეში, რომ თავის მცირე შენიშვნით ან ბ. პეტროვის ბიბლიოთეკის მნიშვნელობა დაემცირებინა, ან საზოგადოებისათვის გული აეცრუებინა მის ბიბლიოთეკაზე, არამედ ჰსურდა პეტროვისავით აღენიშნა ფაქტი ქუთაისის განათლებულის საზოგადოების მიერ წარმოუდგენელის გულგრილობისა იმ გვარ კარგად მოწყობილ ბიბლიოთეკისადმი, როგორიც ბ-ნის პეტროვის ბიბლიოთეკაა ქ. ქუთაისში.

როგორც ერთისა, ისე მეორის განზრახვა ფრიად მოსაწონია და ჩვენ მათთან ერთად ვისურვებთ, რომ საზოგადოების გულ-გრილობას წიგნებისადმი შემდეგ ალაგი აღარა ჰქონდეს.

რედ.

განცხადებანი

ბამგე კომიტეტი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოწაფეთა შემწეობისათვის აცხადებს საყოველთაოდ, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მოწაფეთა მიღების ეგზამენი წელს დაიწყება 25 მარიობისთვეს და გათავდება 1-ლ ენკენისთვეს. ეგზამენი მოხდება შემდეგი პროგრამის მიხედვით:

I განყოფილება.

საღმრთო სჯული.—1) მოთხრობანი: ქვეყნის და კაცის შექმნა; ადამის და ევის ცხოვრება სამოთხეში; ღვთის მცნების დარღვევა; პირველ კაცთა დასჯა; მაცხოვრის მოსვლის აღთქმა; ღვთის მშობლის დაბადება და ტაძრად მიყვანება; ხარება; ნათლის-მცემელის დაბადება; შობა ქრისტესი; მირქმა; ნათლის ღება; ჯვარცმა; აღდგომა, ამაღლება; სულის წმიდის მოფენა.—2) ლოცვები განმარტებით: სახელითა მამისათა; წმინდაო ღმერთო; დიდება შენდა, ღმერთო; უფალო, შეგვიწყალე; მოგვმადლე, უფალო; შენ, უფალო.

ქართული ენა.—გაბმული, მკაფიო კითხვა და წაკითხული მოთხრობის შინაარსის ზეპირად გარდმოცემა; წერა (მრგვალი ხელი), სახელმძღვანელო—«დედა-ენა». აქედამ მოწაფეს შესწავლული უნდა ჰქონდეს ას გვერდამდის, აგრეთვე ლექსები, სასაუბროები და სავარჯიშოები, რომელნიც ამ სახელმძღვანელოში არიან მოქცეულნი.

არითმეტიკა.—ყოველგვარი ანგარიში ერთიდამ ოცამდის, დაახლოებით იმ გვარად, როგორც ევტუშევსკის სახელმძღვანელოშია დაწყობილი სასწავლო მასალა.

II განყოფილება

საღმრთო სჯული.—მოთხრობანი ძველი აღთქმიდამ: ქვეყნის შექმნა; ისტორია ადამ და ევასი და მათი შვილებისა, ნოესი, აბრამისა, ისაკისა, იაკობისა, იოსებისა, მოსესი, იესო ნავინისა, სამუელისა, მეფე საულისა, დავითისა, სოლომონისა; ისტორია წინასწარმეტყველთა: ილიასი, ელისესი და დანიელისა.—ლოცვები განმარტებით: ლოცვა სწავლის დაწყებისა და გათავებისა: ლოცვა სადილის წინ და სადილის შემდეგ: ყოველად წმინდაო სამებაო; მეუფეო ზეცათაო; მამაო ჩვენო.

ქართული ენა.—ცოდნა სრულიად «დედა-ენისა» და პირველთა მოთხრობათა «საყმაწვილო კონიდგან».—გრამატიკიდგან: ხმა და ასო; უხმო და ხმოვანი ასონი; მარცვალი, წერტილის და ასომთავრულის ხმარება; გარჩევა საგანთა, თვისებათა და მოქმედებათა სახელებისა; ამ სახელებისაგან მოკლე აზრის შედგენა; გარჩევა სულიერ და უსულო საგანთა სახელებისა.

არითმეტიკა.—ყოველგვარი ანგარიში 20-დგან 100-მდის; ამოცანანი, რომელთაც შეიცავს ევტუშევსკის ამოცანათა კრებული ზემოხსენებულს რიცხვებზედ.

რუსული ენა.—30 პარაგრაფი და ყველა მოთხრობანი ალანდარაშვილის წიგნიდგან; უშინსკის «როდნოე სლოვოს» 1 ნაწილიდგან მხოლოდ ის მოთხრობანი, რომელნიც ცნობილ საგნებს შეეხებიან, შეგნებული და მკაფიო კითხვა; თარგმნა წინადადებათა ქართულ ენაზე და ქართულით რუსულ ენაზე; წერა: წიგნიდამ გადმოწერა შეუცდომლად.

თვალსაჩინო სწავლა.—აღწერა და შედარება საშინაო საგნებისა და ავეჯულობისა; აგრეთვე შინაურ და გარეულ ცხოველებისა და იმ მცენარეთა, რომელთაც ყმაწვილები ხშირად ხედვენ.

III განყოფილება.

საღმრთო სჯული.—უმთავრესი მოთხრობანი ახალი აღთქმისა იმ სივრცით, რომელიც მათთვის მამა ტურიევს მიუცია თავის საღმრთო ისტორიის სახელმძღვანელოში; წმინდა ნინოს ცხოვრება და ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში (შემოკლებით).—ლოცვები განმარტებით; ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ; ღირს არს ჭეშმარიტად; აცხოვნე, უფალო ერი შენი; ლოცვა მფარველი ანგელოზისადმი; ლოცვა ძილად მისვლისა; ლოცვა შემდეგ ძილისა; ათი მცნება; სიმვოლო სარწმუნოებისა.

ქართული ენა.—ყოველი მოთხრობანი და ლექსები «ბუნების კარიდგან» მცენარეებზედ, ფრინველებზედ და ოთხფეხებზედ; გრამატიკიდგან: დასახელება და გამოცნობა ერცელი წინადადების ნაწილებისა, დასახელება და გამოცნობა სიტყვის ნაწილებისა, გარჩევა სიტყვის სათაურისა, დაბოლოებისა და ძირისა ელემენტარულად; ბრუნვა სახელთა, მიმოხვრა ზმნათა კითხვების შემწეობით; ხმარება წერის ნიშნებისა.

სამშობლო გეოგრაფია.—აღმოსავლეთის საქართველოს მოკლე აღწერა. ბეოგრაფიული საგნების მოკლე აღწერილობის გარდა მოწაფეს უნდა შეეძლოს ჩვენება რუკაზედ მდინარეებისა, ქალაქებისა, მთებისა და სხვა. სახელმძღვანელოდ შეიძლება იყოს გეოგრაფიული ნაწილი «ბუნების კარისა».

რუსული ენა.—ცოდნა იმ მასალისა, რომელიც მოქცეულია უშინსკის «როდნოე სლოვო»-ში წელი 2-რე. კითხვა მოთხრობების და ლექსებისა მკაფიოდ, გარკვევით და შეგნებით; ცოდნა საუკეთესო ლექსებისა ზეპირად; გადმოთარგმნა ქართულიდგან რუსულ ენაზედ პატარა მოთხრობებისა.—ბრამმატიკიდგან.—ბარდა იმისა, რაც მეორე განყოფილების ქარ-

თული გრამმატიკის პროგრამაშია მოხსენებული: ხმარება ასოთა: й, і, ъ, ь, ѣ, ѳ, и და е; საეჭვო ხმების და ასოების ხმარება; დასახელება და გამოცნობა ერცელი წინადადების ნაწილებისა; დასახელება და გამოცნობა სიტყვის ნაწილებისა: სქესური დაბოლოებანი სახელთა და ზმნათა; ბრუნვა და მიმოხვრა პრაქტიკულად, კითხვების შემწეობით.

ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ. — Ოთხი მოქმედება რთულ სახელდებულს რიცხვებზედ ასამდის; ამოცანანი ამავე სახელდებულს რიცხვებზედ; ნუმერაცია ყოველ გვარი რიცხვისა; ოთხი მოქმედება განყენებულ (отвлеч.) რიცხვებზედ; ამოცანანი მათზე; გამოცვლა მოქმედების ელემენტებისა და მისგამო ცვლილება მოქმედების შედეგისა; სახელმძღვანელო — «კრებული ამოცანათა» მეტუშევსკისა.

IV განყოფილება.

სადმრთო სჯული. Ცოდნა რუსულ ენაზედ ორივე აღთქმის ისტორიისა და ლოცვებისა იმდენად, რამდენათაც პირველს სამს განყოფილებაში არის შესწავლული ქართულ ენაზედ.

ქართული ენა. — „ბუნების კარიდგან“ დანარჩენი ნაწილი პირველი განყოფილებისა; მეორე გეოგრაფიული განყოფილება და უფრო საადვილო ლექსები მესამე ქრისტომატიული განყოფილებიდგან. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲘᲓᲒᲐᲜ: დაწვრილებითი ცოდნა სიტყვის ნაწილებისა, ბრუნვა სახელთა, მიმოხვრა ზმნათა, რთული წინადადება, მისი ნაწილების გარჩევა, ხმარება ყოველ გვარი შესასვენებელი ნიშნებისა.

რუსული ენა. — სახელმძღვანელო უშინსკის „დეტსკი მირის“ პირველი ნაწილი; აქედამ შესწავლულ უნდა იყოს პირველი განყოფილება და აგრეთვე ქრისტომატიული განყოფილებანი და დანარჩენიდგან უადვილესი სტატიები; გარდა ამისა, საუკეთესო იგავ-არაკნი ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡᲐ. ᲒᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲘᲓᲒᲐᲜ: ცოდნა შემოკლებით იმ მასალისა, რომელსაც იყენებს უშინსკის „როდნოე სლოვო“-ს მესამე ნაწილი.

სამშობლო გეოგრაფია. — დასავლეთის და სამხრეთის საქართველოს მოკლე აღწერა. მოწაფენი არამც თუ უნდა უჩვენებდენ რუქაზედ ქალაქებს, მდინარეებს, მთებს და სხვა გეოგრაფიულ საგნებს, არამედ მათ უნდა შეეძლოთ დაფაზედ ზეპირად დახატვა საქართველოს ნაწილებისა.

არითმეტიკა. — Ოთხი მოქმედება რთულს სახელდებულს რიცხვებზედ; ამოცანანი მათზე; გამოანგარიშება დროისა; ყველა ზომები და ამოცანანი მათზე; ელემენტარული ცნობა ნაწერებისა. სახელმძღვანელო — «მეტუშევსკის ამოცანათა კრებული».

შენიშვნა: პირველს სამს განყოფილებაში სწავლა სწარმოებს ქართულს ენაზედ, ხოლო მეოთხეში — რუსულზედ.

რაც შეეხება პროგიმნაზიულს კლასებს, აქ საგნების სწავლება სწარმოებს იმ პროგრამით, რომელიც მიღებულია მმართველობის გიმნაზიაში იმ განსხვავებით, რომ ქართული ენა და ლიტერატურა იმდენად უნდა იცოდენ, რავდენადაც რუსული ენის ცოდნა მოითხოვება ოფიციალური პროგრამით. (1—1)

მოწყობილობა

წიწილების გამოსაჩეკავად.

ორმოტი კვერცხის გამოსაჩეკად გაგზავნით. . .	23 მან.
გაუგზავ.	22 ,,
ასასათვის ,,	35 ,,
ასზე მომეტებულისათვის თითო ასზე.	5 ,,
600-მდე, ხოლო 600-ზე მეტი თუ იქნება ასზე.	10 ,,

გამოგზავნისათვის 3 მან. ფუთზე რუსეთის უველა ქალაქებში, კავკასიაში კი 1 მან. 50 კაპ.

ასის კვერცხისათვის მოწყობილობა იწონს 2 ფუთს.

ᲘᲥᲕᲔ.

იქვე მომზადებულია ასადის მოწყობილობის ტინკის ვანნები, ძალიან ადვილი გადასატან-გადმოსატანი, რადგან არა ფუჭდება და 20 წელიწადი შეუძლიან გასძლოს; თავდებობით ვუადი ძალიან იაფად, ადრესი: მეხანიკური ქარხანა სასოფლოდებით „სოფლის მეურნე“, არსენალის ადმირთთან სასწორის პირ-და-პირ, ინტენდანტსტვოს გვერდზე, სახ. № 5.

Თ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ-ᲫᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ.

(10—2)

ᲕᲘᲜᲪ ᲙᲕᲐᲚᲡ ᲛᲘᲐᲒᲜᲔᲑᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 26 დაკარგულის ოქროს და სხვა-და-სხვა ძვირფასის ნივთებისას და მოიტანს საპერის ქუჩაზე, სახლ. № 47, ათს თუმანს საჩუქარს მიიღებს.

(3—2)

ᲨᲕᲐᲚᲘᲔᲠᲘ ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-დასხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲠᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡᲐ

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდა-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—21)

შენახვა ᲩᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲖᲐᲜᲙᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲐᲤᲢᲐᲚᲘᲜᲘ (ქაფური) ᲩᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲬᲧᲝᲚᲘ წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტაპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. ᲰᲝᲛᲐᲓᲐ მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚᲘ ᲕᲐᲥᲡᲐ, ᲒᲚᲘᲐᲜᲪ-ᲡᲐᲮᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, საოთიაქო საქონლების სავაჭრო ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐᲨᲘ.

(70—21)

გაიცემა ქირით ექსპლუატაციისთვის

ᲝᲠᲘ ᲬᲧᲘᲡ ᲓᲐᲭᲐ

ᲐᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ:

ᲔᲠᲗᲘ, — 1500 დეს. რკინის გზაზე, მეორე — 1300 დეს. მდ. მტკვართან

ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ — ჟურნალი «Юридическое Обозрѣніе» ადმინისტრაციაში,

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ — დაფიცებული ვექილის თანა-შემწესთან თ. ᲐᲜᲢᲝᲜ ᲜᲘᲙ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

(10—3)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲗᲛᲘᲡ-ᲐᲛᲝᲛᲣᲕᲐᲜᲘ

ᲐᲛᲑᲒᲠᲔᲑᲡ ᲗᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚ ᲤᲔᲠᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ, ᲗᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲣᲨᲘᲡᲐ 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—44)

ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ

ᲐᲥᲕᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲥᲘᲜᲘᲡ ᲰᲝᲛᲐᲓᲐ ᲗᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲚᲐᲓ. ᲗᲕᲘᲡᲘ 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასხობლად, ტუალეტის საპონი, დუსები და სხვ.

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ხორაგისა, რომელიც იყიდება ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 იელისიდამ 1 აგვისტომდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — — 1 გირ.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა — — 1 გ.	$2^1/_2$
მეორისა — — — 1 გ.	2 კ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:	
პირველი სარისხის — 1 გ.	$4^1/_2$
მეორისა — — — 1 გ.	3 კ.
მესამისა — — — 1 გ.	$2^1/_2$
ᲫᲕᲐᲠᲘᲡ-ᲛᲐᲛᲘ ᲞᲣᲠᲘ:	
პირველი სარის. ლავაში 1 გ.	$4^1/_2$
მეორის სარის. ლავაში 1 გ.	$3^1/_2$
მესამისა — — — 1 გ.	3 კ.
ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:	
პირველის სარისხისა — 1 გ.	8 კ.
მეორისა — — — 1 გ.	7 კ.
სუკი . . . — 1 გ.	15 კ.
ცხვრის ხორცი — 1 გ.	8 კ.
ᲦᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:	
პირველის სარისხისა — 1 გ.	— კ.
მეორისა — — — 1 გ.	— კ.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ 8 საათზედ და 31 წამ. დილით

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲮᲐᲨᲣᲠᲐᲛᲓᲘᲜ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲑᲐᲥᲝᲡᲙᲔᲜ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით სიჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲙᲔᲜ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲒᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲙᲔᲜ 8 საათ. დილით.

ᲤᲝᲗᲘᲓᲒᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲙᲔᲜ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ Დ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

ᲛᲐᲠᲢᲝ ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ 8 საათზედ დილით

ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (პარასკევობით სიჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. ценз. Тифлисъ, 6 Іюля 1884 г. სტამბა ᲐᲠ. ᲥᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. გამომც. გ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. რედ. Ი. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ.